



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/12

ქ. თბილისი

23 მაისი 2018

საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებული სახით
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მაისის №01-05-02/09 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს ქვემოთ ჩამოთვლილი საგანმანათლებლო პროგრამები:
 - ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მათემატიკა“;
 - ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „აგრობიზნესის მენეჯმენტი“.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6);
დადგენილებას თან ერთვის: ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტისა და აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოების სხდომის ოქმებიდან ამონაწერები (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე